გიორგი ურუშაძემ აბიტურიენტებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე წარმატებები უსურვა

დღეს, (4 ივლისი) ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო. აბიტურიენტებისთვის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი. განათლებული მომავალი თაობა ქვეყნის განვითარების აუცილებელი და განუყოფელი ნაწილია.

გისურვებთ წარმატებებს დასახული მიზნების მიღწევაში.

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 19 (10431) 11 ივლისი 2022 წ. ფასი 80 თეთრი.

საკრებულოს სხდომაზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „ქართული ოცნების“ დეპუტატები კვლავ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს

ალიონი. მორიგი ხმაური და დაპირისპირება იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 6 ივლისის სხდომაზე.

სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების წინ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე **დავით მჟავანაძემ** ითხოვა სიტყვა, რომელიც საკრებულოს ხელმძღვანელებისაგან, რამდენიმე დღის წინ ოზურგეთის საკათედრო ტაძრის ეზოში ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებსა და „ქართული ოცნების“ წევრებს შორის მომხდარ ინციდენტზე განმარტებას ითხოვდა. მისი თქმით, ამ ინციდენტის ორგანიზატორი „ქართული ოცნების“ ადგილობრივი ხელსუფლება იყო.

—ოზურგეთში, ეკლესიის ეზოში მოსახლეობასთან ვაპირებდით შეხვედრას, რომ გვესაუბრა ევროპის მნიშვნელობაზე, თუ რატომ არის ევროპაში ინტეგრაცია კარგი და რატომ არის რუსეთი ცუდი.

აი, ამ შეხვედრაზე ივანიშვილის დავალების შესაბამისად, მივიდნენ „ქართული ოცნების“ დეპუტატები და შეეცადნენ ჩაეშალათ ეს ღონისძიება.

ბატონო დავით, თქვენ როგორ დაუშვით, რომ რომ იქ საკრებულოს დეპუტატები მოსულიყვნენ ძალადობისთვის, რათა ჩვენ მოსახლეობასთან არ გვესაუბრა ევროპაზე და ევროპულ ინტეგრაციაზე? მიზანი იყო ერთი, ეს ღონისძიება არ

გვ–2

შეიცავს თუ არა კარიერული წარმოება საქართველოში კორუფციულ რისკებს?

ანუ რას მოუტანს მდინარე ნატანების ხეობას და შავი ზღვის სანაპიროს დიდი ოდენობით წიალისეულის მოპოვება...

ალიონი. წითელი ხიდი-სარფის მაგისტრალის 430 კილომეტრიანი ავტომაგისტრალის მშენებლობას დიდი ოდენობით ინერტული მასალა სჭირდება. ამჟამად გურიის რეგიონის ტერიტორიაზე მიმდინარეობს გრიგოლეთი-ჩოლოქის გზის 14.4 კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა, რომელიც შემდეგ ქობულეთის შემოვლით გზას მიუერთდება. **ტენდერში გამარჯვებული კომპანია POLAT YOL &MAPA“ მთავრობის ნებართვის საფუძველზე, ულიცენზიოდ, შავიზღვისპირა 20-კილომეტრიან ზოლ-ში მდინარე ნატანების აუზში იღებს მშენებლობისათვის საჭირო ინერტულ მასალას,** რითაც მდინარის კალაპოტი ღრმავდება და სუფსა ნატანების აუზის გრუნტის წყლები დაბლა იწევს,ან ქრება. ჭებში წყალი აღარ არის. ინერტული მასალების უსისტემოდ მოპოვებამ მდინარეების აუზებში ათეულობით ჰექტარი სავარგულის განადგურება გამოიწვია. ყოველივე ეს მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს.

როგორც **ვიქტორ დოლიძე** გაზეთ „ალიონთან“ ამბობს, (აკრედიტებული ტრენერი საქართველოს შრომის უსაფრთხოების აკადემია): — **ნატანი მასალის მდინარის ხეობიდან დიდი ოდენობით ამოღება იწვევს ზღვის სანაპირო ზოლზე ქვიშა ღორღის ნაკლებობას, ზღვა იწყებს სანაპირო ზოლის მორღვევას....მდინარის მთიან ხეობაში იწყება სანაპირო გრუნტის ჩამოშლა, რასაც არც თუ იშვიათად მოჰყვება მეწყერული მოვლენების განვითარება..**

შავიზღვისპირა მდინარეების აუზების დაცვის ერთ-ერთი მექანიზმი მთავრობის 2005 წლის 4 სექტემბრის დადგენილება იყო, რომელიც შავი ზღვის სანაპიროდან 20-კილომეტრიან ზოლში ინერტული მასალების მოპოვებას კრძალავდა, კერძოდ: **„დაუშვებელია ლიცენზიის გაცემა ინერტული მასალის მოპოვების მიზნით, შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეთა შავი ზღვის შესარ-თავიდან 20 კილომეტ-რიან მანძილზე პირდაპირი ხაზით“** რითაც გარკვეულწილად დაცული იყო მდინარეების ზღვისპირა მონაკვეთები. ბოლო წლებში ინერტული მასალის ბარბაროსულად მოპოვება გურიის რეგიონში მდინარე სუფსის

გვ–3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გიორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

„ნაციონალური მოძრაობა დესტრუქციული ქმედებებით ყველანაირად ცდილობს ქვეყანაში იყოს ქაოსი, ომი და არეულობა“

4 ივლისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დაპირისპირება იყო ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ დეპუტატებს შორის. ნაცმოძრაობის ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით მჟავანაძემ „ქართული ოცნების“ დეპუტატებს რამდენიმე დღის წინ ოზურგეთის საკათედრო ტაძრის ეზოში მომხდარ ინციდენტში „ქართული ოცნების“ ადგილობრივ ხელისუფლებას დასდო ბრალი. თავიანთი ბრალდებების გაჟღერების შემდეგ მათ საკრებულოს სხდომა დატოვეს.

ამის შემდეგ სხდომაზე დამსწრე დეპუტატებს სიტყვით მიმართა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე **მარიკა ჩხიკვიშვილმა:**

– *დღეს, ძალიან რთულ გარემოში გვიწევს მუშობა. ნაციონალური მოძრაობა დესტრუქციული ქმედებებით ყველანაირად ცდილობს ქვეყანაში იყოს ქაოსი, ომი და არეულობა. ამ პარტიის ოზურგეთის წარმომადგენლები კი საკრებულოს ყველა სხდომაზე ცდილობენ ხელი შეუშალონ კონსტრუქციულ მუშაობას, შეაფერხონ საკრებულოს საქმიანობა, მუნიციპალიტეტის წინსვლა და განვითარება. თუმცა ეს არ გამოგივათ!*

ჩვენ გუნდის ერთი მიზანი გვაქვს, საქართველოში იყოს მშვიდობა, სტაბილურობა, შევასრულოთ პირობები და გავხდეთ ევროკავშირის წევრი. ამას ადასტურებს ფაქტები, სწორედ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ჩვენმა გუნდმა მოაწერა ხელი ასოცირების შეთანხმებას, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას, ვიზალიბერალიზაციას და ჩვენი გუნდის ინიციატივით ჩაიწერა კონსტიტუციაში, რომ საქართველოს ურყევი ნებაა ევროპული მომავალი.

მეორე მხარეს კი დგას ანტიევროპული, პრორუსული ძალა ნაციონალური მოძრაობა, რომლის ქვეყანის მართავის გამოცდილება არის დაფუძნებული ძალადობაზე. მათი ხელისუფლების პირობებში ადამიანის ფუნდამენტური უფლებები იყო დარღვეული, რაც არის თავისუფლება, სიცოცხლის უფლება.

ყველას კარგად ახსოვს, რომ ნაციონალური მოძრაობამ 2011 წელს მხარი დაუჭირა ოკუპანტი რუსეთის სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას, მხარი დაუჭირა რეზოლუციას, თითქოს ქართველმა სამხედროებმა დაიწყეს ომი ოკუპანტ რუსეთთან.

რუსეთთან ომის შემდეგ მათ შემოიღეს უვიზო მიმოსვლა ოკუ-პანტთან. ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობა ნაციონალურ მოძრაობას ეკისრება, რომელიც ევროკავშირის დროშას ამოფარებული აკეთებს რუსეთის საქმეს.

ნაციონალურმა მოძრაობამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის,რომ საქართველოს უკრაინასთან და მოლდოვასთან ერთად კანდიდატის სტატუსი არ მიეღო. ისინი არიან ქვეყნის მტრები, რომელთა მიზანია ქვეყანა ჩაითრიონ ომში.

აგონიაში მყოფი ნაციონალური მოძრაობის სახე არის მევის ქარდავა ,რომელიც სისხლიან რეჟიმს წარმოადგენდა და დღეს იგი აპელირებს ძალადობაზე, ეს მისგან ქართველი ხალხის დაცინვაა! ქარდავას კისერზეა ძალიან მძიმე სისხლის სამართლის საქმეები, კერძოდ: მსჯავრდებულია ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე, მსჯავრდებულია პატიმართა წამების საქმეზე (ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმე), მსჯავრდებულია ე.წ „კასრების“ საქმეზე, მსჯავრდებულია პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის წამების საქმეზე.

ნაციონალური მოძრაობა, არის ძალა რომელიც ეკლესიებს ანგრევდა. გაიხსენეთ რა მოხდა გლდანში, ხელვაჩაურში. მათ არ აქვთ მორალური უფლება ისაუბრონ ეკლესიაზე. ისინი წარმოადგენენ ბოროტ ძალას, რომლებიც პატიმრებს აწამებდნენ, კლავდნენ, აუპატიურებდნენ, მოსახლეობას არბევდნენ, ბიზნესს ართმევდნენ და ადამიანებს ხმის ამოღების უფლებას არ აძლევდნენ, ტოტალური შიშის ქვეშ ამყოფებდნენ მოსახლეობას. დიახ, ისინი წარმოადგენენ ზონდერების პარტიას და ტყუილად ცდილობენ ეს იარლიყი სხვას მიაბან, ვერ გაექცევიან ამ პასუხისმგებლობას.

დიახ თქვენ, პარტია ნაციონალური მოძრაობა ხართ მილევად რეჟიმში. ამიტომაც მსგავსი დესტრუქციული მეთოდებით ცდილობთ ისევ აქტუალურები დარჩეთ. საბედნიეროდ, ქართველი ხალხი სწორ არჩევანს აკეთებს, თქვენ მოსახლეობამ არჩევების გზით გითხრათ უარი და შეეუგეთ ამ რეალობას–განაცხადა მარიკა ჩხიკვიშვილმა.

საკრებულოს სხდომაზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „ქართული ოცნების“ დეპუტატები კვლავ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს

შემდგარიყო –განაცხადა მჟავანაძემ.

მჟავანაძის გამოსვლას ერთგვარი დაპირისპირება მოჰყვა „ნაცმოძრაობის“ და „ქართული ოცნების“ დეპუტატებს შორის, რომელიც 40 წუთს გაგრძელდა.

პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **გიორგი ღურჯუმელიძემ** ენმ-ის დეპუტატებს სამარცხვინო, ხულიგნების ჯგუფი უწოდა.

–*ეს არის დაჯგუფება, რომელიც დაკავებულია ჩვენი ქვეყნის გაშავებით* –განაცხადა ღურჯუმელიძემ.

ნაციონალური მოძრაობის წევრებმა სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვეს.

გიორგი ურუშაძემ ჩოხატაურში მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი ურუშაძემ,** მუნიციპალიტეტის მერთან და საკრებულოს თავმჯდ-ომარესთან ერთად, დასრულებული და მიმდინარე პროექტები დაათვალიერა.

მიმდინარეობს: სოფელ ჩხაკუაში, ქვაბღაში, ნაკადულში, სამებაში, შუა ამაღლებაში, დაბლაციხეში**,** ბუკისციხესა და ზემო ფარცხმაში ადმინისტრაციულ ერთეულებთან დამაკავშირებელი შიდა გზების რეაბილიტაცია, ხოლო დაბა ჩოხატაურში მდინარე ორპირას კალაპოტისა და რეკრეაციული ზონის მოწყობა.

დასრულდა: კოხნარი - საჭამიასერის და ბურნათი -კოხნარის დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაცია. ასევე, სოფელ ქვენობანში მინი სტადიონის და სკვერის მშენებლობა.

სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება.

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებები მიმდინარეობს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსთან **ზურაბ ჩეკურაშვილთან** ერთად დასავლეთ საქართველოში აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებების მიმდინარეობას გაეცნო.

შეხვედრას, რომელიც დაბა ურეკის კულტურის სახლში გაიმართა, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გურიის მხარეში ქეთევან მოისწრაფეშვილი და აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ირმა აფხაზავა დაესწრნენ.

ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები დასავლეთ საქართველოში გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. მავნებლის მონიტორინგის, კონტროლისა და მოსახლეობის ინფორმირების მიზნით მობილიზებულია ყველა რესურსი და აქტიური ღონისძიებები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების ჩართულობით ყოველდღიურად ტარდება.

შეიცავს თუ არა კარიერული წარმოება საქართველოში კორუფციულ რისკებს?

ანუ რას მოუტანს მდინარე ნატანების ხეობას და შავი ზღვის სანაპიროს დიდი ოდენობით წიაღისეულის მოპოვება...

ასე უტევს კალაპოტშეცვლილი მდინარე ნატანები საყანე ფართობებს

კომპანია POLAT YOL &MAPA უწყვეტ რეჟიმში მუშაობს

ინდელი პრემიერი **ირაკლი ღარიბაშვილი** აწერს. **მდინარე ნატანების აუზში, 20 კილომეტრიან ზოლში ულიცენზიოდ შევიდა „POLAT YOL &MAPA, რომელმაც იქ წიაღისეულის მოპოვების უფლება ქვემოიჯარე კომპანის გადასცა** (წიაღის მომპოვებელი იაკობ ლექვინიძე, რომლის სახელსაც ბაილეთი-სილაურის საზღვარზე მდინარე სუფსის აუზში ცნობილი „სამუშაოები" უკავშირდება) და ახლა ვხედავთ, როგორ ბარბაროსულად ექცევიან ისინი ხეობას.

ამ ხეობაში ადრე 40-მდე ინერტული მასალების მომპოვებელი მუშაობდა, რომლებმაც მნიშვნელოვან ააოხრეს მდინარე ნატანების აუზის ეს მონაკვეთი. **ახლა ულიცენზიოდ, ოფიციალურად მუშაობს თურქული კომპანიის არაერთი ექსკავატორი და ათეულობით მძიმე წონიანი ავტომანქანა. მთავარია მაგისტრალი – ზღვიდან 20 კილომეტრიან ზოლში მდინარეს გამოაცალო ნატანი, ნიშნავს ზღვის სანაპირო ზოლის დაზიანებასაც.**

სამწუხაროდ, მდინარე ნატანების მიმდებარე სოფლების წარმომადგენლები, არ რეაგირებენ თუ რატომ შეუცვალეს კალაპორი მდინარეს და რა საშიშროების ქვეშაა გურიანთის, სოფელ ოზურგეთის, ბოხვაურის და სხვა სოფლების ათეულობით ჰექტარი სავარგული, რომლებიც სიმინდის კულტურის ყველაზე უხვმოსავლიან ფართობ-ებად ითვლება მუნიციპალიტეტში.

გურიანთის, სოფელ ოზურგეთის, მელექედურის მაჟორიტარი დეპუტატის **ნინო მახარაძის** თქმით, ინერტული მასალების დიდი ოდენობით მოპოვების გამო, სოფელში ჭები დაშრა.

–ჩემს ეზოშიც დაშრა ჭა. ციხისფერდში ერთ უბანს არ აქვს სამელი წყალი. მუნიციპალიტეტმა სოფელ ციხისფერდსა და გურიანთაში რამდენიმე ჭაბურღილი გააკეთა, რომ მოსახლეობას მიეწოდოს წყალი. მიმდინარეობს დაქსელვის სამუშაოები. ვფიქრობთ ციხისფერდელების 50 პროცენტს წყლის პრობლემა მოეხსნება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი დაინტერესებულია, რომ უფრო მსხვილი პროექტი განახორციელოს ამ პრობლემის მოსაგვარებლად –გვითხრა ნინო მახარაძემ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დაბა ლაითური-ნარუჯის მაჟორიტარმა დეპუტატმა **რაინდი დუმბაძემ** განაცხადა, რომ მდინარე ნატანების აუზში ინერტული მსალების მოპოვების გამო, წყლის დონემ დაიწია, ჭაბურღილები მდინარია აუზიდან წყალს ვერ იღებენ და დაბა ლაითურის მოსახლეობას სასმელი წყლის მიწოდებაზე პრობლემები აქვს.

წლებია ვწერთ კომპანია **„აქვას"** შესახებ, რომელმაც თავისი ლიცენზია კომპანია **„ნალუთუს"** გადასცა, რომელიც მდინარე ნატანების ხეობაში კიდევ უფრო ზღვისკენ, სოფელ მერიისა და ლაითურის ბოლო საზღვარზე აწარმოებს პირდაპირ მდინარის აუზიდან ქვიშა-ხრეშის მოპოვებას. **„ნალუთუს" „აქვას" 48 ათას ტონიანი ლიცენზიით დღემდე 18 ათა-სი ტონა აქვს „მხოლოდ" მოპოვებული?!** თუ რატომ ვერ „აითვისა" კომპანიამ რამდენიმე წელში ლიცენზიით გათვალისწინებული რაოდენობა, მხოლოდ იმას ამბობენ, რომ ამ კომპანიას ისეთი გავლენიანი პიროვნება „კრიშავს", რომ გარემოს დაცვის ინსპექცია ხმას არ ამოიღებსო

მოვინახულეთ უშუალოდ გრიგოლეთი–ჩოლოქის გზის ცალკეული მონაკვეთები, სადაც ასფალტის ფენაცაა დაგებული და უახლოეს ხანში კეთილმოწყობის სამუშაოები დაიწყება.

თურქული კომპანია POLAT YOL &MAPA -ს ასფალტის საწარმოში ათასობით ტონა ქვიშა ხრეშის სხვადასხვა ფრქვევაა დასაწყობებული. „ბლექსი არენას" მიმდებარედ გზაგამტარი ხიდის მშენებლობა დასრულებულია.

რაცშეეხება წვერმაღალას ტერიტორიზე არსებულ სპეციალურ სასწორს, მასზე შემდგარი ინერტული მასალით დატვირთული ავ-ტომანქანა არ გვინახავს(?!)

გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკოს" დამფუძნებელმა **ირმა გორდელაძემ** გაზეთ „ალიონთან" თქვა:

–„ქვა-ღორღის კარიერული წარმოება საქართველოში არ არის გამართული და კორუფციის უდიდეს რისკებს მოიცავს. არც ლიცენზიის მომცემი, არც წარმოების მაკონტროლებელი - სახელმწიფო ორგანოები უწევს მონიტორინგს მიმდინარე პროცესებს. თუ მოსა-ხლეობა გააპროტესტებს ან გარემოსდამცველები, შემდეგ ხდება რეაგირება. შედეგად: გვაქვს მდინარეთა აოხრების, სტიქიური მოპოვების, შემოსავლების დამალვის და ყველა გარემოსდაცვითი კანონების უხეში დარღვე-ვები. **აუცილებელია შევიდეს კანონში ისევ გზუ ანუ გარემოზე ზემოქმედების შეფასება კარიერული წარმოებისას**. ჯერჯერობით კი ეს მოცემულობა გვაქვს – მოვიპოვებთ, ვაშენებთ და იმ საარსებო გარემოს ვანადგურებთ, რომელიც აუცილებლად უკან დაგვიბრუნდება მძიმედ. ბუნება არ პატიობს".

ამ ეტაპზე ვერ შევძელით გადაგვემოწმებინა საზოგადოებაში არსებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მდინარე ნატანების ხეობაში მოპოვებული ინერტული მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობის გარდა, მეზობელ რეგიონში მიმდინარე სხვა მშენებლობებსაც ხმარდება და ამაზე შესაბამისი სამსახურები არ რეაგირებენ



კომპანია „ნალუთუ" დასაწყობების გარეშე პირდაპირ მდინარიდან იღებს ქვიშა-ხრეშს

კომპანია POLAT YOL &MAPA-ს საწარმო

ინ შემთხვევაში, თუ მოპოვებული მასალა დასაწყობებულია" აღნიშნულ ცვლილებას ხელს აწერს მაშინდელი **პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია.**

სასწრაფო წესით კანონის ცვლილებას წინ უსწრებდა, კომპანია „პოლატის" წერილი (27. 08.-2020 წ. დოკუმენტის N-TMO-/20/0324), რომელიც მათ გაუგზავნეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს. კომპანიამ დაიწუწუნა წიაღი არ მაქვს ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობისთვისო.

ამონარიდი წერილიდან: **„აჭარის რეგიონში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უკავშირდება დიდ სირთულეებს და აღნიშნული კუთხით მძიმე მდგომარეობაა, რადგან ფაქტობრივად აღარ არსებობს კარიერები, სადაც შესაძლებელია სასარგებლო წიაღისეულის მოპო-ვება. ამასთან, აჭარის რეგიონში მოქმედებს საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგე-ნილებით განსაზღვრული შეზღუდვა 20-კილომეტრიან ზოლში წიაღის მოპოვებაზე**. შესაბამისად შეზ-ღუდვის გათვალისწინებით ფაქტობრივად ჩვენ-თვის შეუძლებელი ხდება პროექტის განხორციელება, რადგან ვერ ვახერხებთ ქვიშა ხრეშის მოპოვებას და ძირითადი სამუშაოების წარმოებას" კომპანია საგზაო დეპარტამენტიდან 1 000 000 კუბ. მეტრი ინერტული მასალის მოპოვებას ითხოვდა.

გზა უნდა აშენდეს, და **20-კილომეტრიან ზოლში წიაღისეულის მოპოვებაზე გამონაკლისი დაუშვეს**, რომელსაც ხელს ამჟამ-

„ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ პროექტი მშენებლობის ნებართვის მოლოდინში

ინტერვიუ შპს CCEH Hydro VI- ის დირექტორთან, ბატონ მიხეილ ნიბლაძესთან

— ბატონო მიხეილ, პირველ რიგში, გილოცავთ გარემოსდაცვითი ნებართვის მოპოვებას.

— დიდი მადლობა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გადავუხადო მადლობა ამ პროცესში ყველა მონაწილე პირს - ჩვენს თანამშრომლებს, მთისპირის და ჩხაკაურას მოსახლეობას, არასამთავრობო სექტორს, ადგილობრივი და ცენტრალური სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებს, მედიას. უპრეცედენტო ერთობა და ჩართულობა ჰქონდა ბახვი 1-ის პროექტს. მოხარული ვარ, რომ დიდი მხარდაჭერა გვაქვს ადგილობრივი მოსახლეობის.

—რა ვითარებაა ამჟამად კომპანიაში და რა ტიპის სამუშაოებს ახორციელებთ ამჟამად?

— ამჟამად, როგორც უკვე აღნიშნეთ, პროექტს აქვს გარემოსდაცვითი ნებართვა, რომელზეც ჩვენი გუნდი წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად თავდაუზოგავად მუშაობდა. ძალიან დიდი შრომა გავწიეთ. მთელი პროცესის მანძილზე აბსოლუტურად გამჭვირვალედ ვმუშაობდით და ჩართული გვყავდა ყველა დაინტერესებული მხარე. მთელი წლის მანძილზე თვეში ერთხელ ვხვდებოდით მრჩეველთა საბჭოს წევრებს, რა დროსაც ანგარიშს ვაბარებდით მიმდინარე განვითა-რების შესახებ მათ, ვისმენდით განსხვავებულ მოსაზრებებს და რიგ შემთხვევებში ვითვალისწინებდით რეკომენდაციებს. გავმართეთ არაერთი შეხვედრა ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. აღსანიშნავია, რომ მათი რეკომენდაციით შეიცვალა პროექტი, მოვიწვიეთ ევროპელი მკვლევარები და დაიდო გარემოსდაცვითი რეკომენდაციები და სოციალური პროგრამა, რომელიც აბსოლუტურად მორგებულია ადგილობრივ საჭიროებებზე. სოციალურ პროგრამაზე მუშაობისას ათობით შეხვედრა გავმართეთ პროექტის სიახლოვეს მდებარე სოფლების მაცხოვრებლებთან - მთისპირის თემსა და ჩხაკაურაში. სწორედ ამ აქტივობებმა და ორმხრივმა დიალოგმა განაპირობა პროექტის წარმატება. ამჟამად, პროექტი მშენებლობის ნებართვის მიღების ეტაპზე გადავიდა. მუშაობა დავიწყეთნებართვის მიღებაზე ჩვენს ტექნიკურ ჯგუფთან ერთად. აღსანიშნავია, რომ ტექნიკურ მიმართულებაზე ჩვენი გუნდი მსოფლიოში აღიარებულ შვედური კომპანიის **AFRY** -ს ავსტრიულ ოფისთან თანამშრომლობს, რაც შესაბამისად ყველაზე მაღალი დასავლური სტანდარტების გარანტიას ნიშნავს ტექნიკური კუთხით. ასევე, ვამუშავებთ სამოქმედო გეგმას, იმ რეკომენდაციებზე დაყრდნობით, რაც მივიღეთ საერთაშორისო თუ ადგილობრივი ექსპერტებისგან, რათა ჯეროვნად აღსრულდეს ბიომრავალფეროვნების მიმართულებით შემარბილებელი ღონისძიებები, იმისათვის რომ პროექტი როგორც სამშენებლო ასევე ოპერაციულ ეტაპზე იყოს უსაფრთხო როგორც გარემოზე ზემოქმედების, ასევე შრომის უსაფრთხოების თვალსაზრისით.

— რა კონკრეტული გამოწვევები გაქვთ ამჟამად?

— რთული პერიოდი გავიარეთ, პროექტის დასაწყისში შესაბამისი ნდობის მოსაპოვებლად ყველა დაინტერესებული მხარისაგან, ახლაც არანაკლებ რთული და საპასუხისმგებლო ეტაპზე ვართ. მოგეხსენებათ, პირობების გაცემა ადვილია, მათი აღსრულება კი რთული. დიახ, ჩვენ ღირსეულად უნდა აღვასრულოთ ყველა გაცემული პირობა, როგორც სახელმწიფოს წინაშე, ასევე არასამთავრობოების და ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე, რომელიც გვენდო, დაგვიდგა გვერდზე და გამოგვყვა ამ პროექტ-ში. ჩვენ დეტალურად ვამუშავებთ სამოქმედო გეგმას, , რომ შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-მა საქმიანობა განახორციელოს წარმოდგენილი-გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზემოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, უსაფრთხოების ზომებსადა დაგეგმილი სოციალური პროექტებზე დასავლელი და ქართველი ექსპერტების და პარტნიორების რეკომენდაციების შესაბამისად.

— როგორ და რა პრინციპით აპირებთ ტყის ჭრაზე შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას, ასევე მნიშვნელოვანია კალმახი და მისი არსებობა მდინარე ბახვისწყალში. ვიცით ასევე, რომ თქვენმა მკვლევარებმა ასევე დააფიქსირეს კავკასიური სალამანდრა, რომელიც წითელ ნუსხაშია შესული?

— ყველას მოგეხსენებათ რომ, ინფრასტრუქტურული და ნებისმიერი სხვა ტიპის პროექტების განხორციელებისას გარდაუვალია გარკვეულ პერიმეტრზე ხეების ჭრა. ჩვენს შემთხვევაში ეს არის 9 ჰექტარი, როგორც ეს გზშ-ს დოკუმენტში არის წარმოდგენილი. . ჩვენ, ვიღებთ ვალდებულებას, რომ აღვადგენთ 20 ჰექტარს, რაც ორჯერ მეტია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტყის ფართობისა. . სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ნებისმიერ ქმედებას ჩვენ ვუთანხმებთ ტყის მართვის უფლების მქონე სახელმწიფო ორგანოს.ჩვენ პასუხისმგებლობას ვიღებთ, რომ სამუშაოების განხორციელების დროს საფრთხე არ შეექმნება პროექტის განხორციელების არეალში არსებულ ფლორასა და ფაუნას. რაც შეეხება იხტიოფაუნას, მნიშვნელოვანია ჩვენს მიერ დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებები ნაკადულის კალმახისთვის. ცხადია, პროექტის დიზაინში გვაქვს გათვალისწინებული თანამედროვე ტიპის თევზსავალი, ასევე გვაქვს შემუშავებული ეფექტური მონიტორინგის სისტემა იმისთვის, რომ მდინარეში თევზს არ შეიქმნას გადაადგილების პრობლემები. პროექტის ფარგლებში ასევე იგეგმება ტბორების მოწყობა კავკასიური სალამანდრასთვის, რომელიც წითელ ნუსხაშია შესული. ესაა მოკლედ ჩვენი სამუშაოების შესახებ, თუმცა ეს მხოლოდ ნაწილია იმ ვრცელი სიიდან, რისი განხორციელებაც ჩვენი ვალდებულებაა. ვალდებულებაა როგორც საზოგადოების წინაშე, ასევე ჩვენმაღალი რეპუტაციის მქონეინვესტორებთან და პირველ რიგში საკუთარ თავთან. რადგან, თქვენ იცით, ჩვენ ამ ქვეყნის მოქალაქეები ვართ. საქართველო ჩვენი სამშობლოა და პროექტები რომელსაც ვახორციელებთ, გვინდა და გვაქვს ამბიცია, რომ იყოს სამაგალითო და ეკონომიკური სიკეთის მომტანი ჩვენი ქვეყნისთვის და ამ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანებისთვის, ამავე დროს მინიმალური ზემოქმედების მქონე გარემოზე.

დაფინანსებული ფართი

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

ელიოტ რუზველტი ვაკიჯვარში

სამი წლის წინათ,გაზეთ „ალიონში“ (22 აპრილი, 2019 წელი) გამოვაქვეყნე წერილი ელიოტ რუზველტის მახარაძეში სტუმრობის შესახებ. როგორც გამოირკვა ელიოტ რუზველტი სტუმრობდა, როგორც მახარაძეს და ბუკისციხეს, ასევე სოფელ ვაკიჯვარსაც, ამის შესახებ მიამბო ბატონმა ლევან ნინიძემ. გადავწყვიტე განმეორებით ვაუწყო მკითხველს ამ სტუმრობის ახალი დეტალები

ელიოტ რუზველტი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ფრანკლინ დელანო რუზველტის (1933-1945წწ.) ვაჟი გახლდათ. იგი შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცერი და მამის ადიუტანტი იყო სამხედრო საქმეში. მოგვიანებით მან დაწერა წიგნი „მისი თვალით დანახული“,რომელმაც უამრავი ძვირფასი ისტორიული ეპიზოდი შემოგვინახა.

ელიოტ რუზველტი მამის მნიშვნელოვან კონფერენციებს და შეკრებებს ესწრებოდა, როგორც თავად წერს, როგორც მამის ადიუტანტი უმეტეს შემთხვევაში ესწრებოდა სამხედრო პოლიტიკურ და დიპლომატიურ სხდომებს, რომლებშიც ის მონაწილეობდა. ასეთ დროს მე ვითავსებდი მდივნისა დაა კურიერის მოვალეობას და ოქმებსაც ვადგენდი. ამ ნახევრად ოფიციალურ როლში საშუალება მომეცა მოწმე ვყოფილიყავი ოფიციალურად თუ არაოფიციალურად როგორ აწარმოებდნენ მოლაპარაკებებსა და და მიდიოდნენ შეთანხმებამდე,ომში მონაწილე მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლები. მე შევხვედრილვარ ჩერჩილს, სტალინს, მოლოტოვს, გენერალ სიმუს ჩან კაი-შის და მის მეუღლეს, შტაბების უფროსებს გაერთიანებული საბჭოს წევრებს ,გენერლებს და ადმირალებს, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ საომარ მოქმედებებს და ყველა სახის შეიარაღების დემონსტრირებას ახდენდნენ, სმიტს, დე გოლს, ჟიროს, ჰოპკინს, რობერტ მერფის, ეგვიპტის,საბერძნეთის, იუგოსლავიისა და ინგლისის მეფეს,ემირებსა და შაჰებს, სულთნებსა და პრინცებს პრემიერ მინისტრებს, ხალიფებს, დიდ ვეზირებს. პირველი მე ვხდებოდი მათ, მივაცილებდი მამასთან,ვესწრებოდი მოლაპარაკებებს,შემდეგ მამა თავის შთაბეჭდილებებს მიზიარებდა, როცა სხდომების გრძელი დღეები მთავრდებოდა,როცა უკანასკნელი მომსვლელიც მიდიოდა,მ ე და მამა ძილის წინ, რამდენიმე საათს ვატარებდით ,ვასული დღის მოვლენებზე საუბარში, ჩვენს შთაბეჭდილებებს, დაკვირვებებს უზიარებდით ერთმანეთს,ყ ველაფერზე, რაც მაინტერესებდა — დაწყებული მეორე ფრონტის მდგომარეობით და ქალბატონ ჩან კაი-შიზე დამთავრებული. მე ის მენდობოდა, სტალინის მოლაპარაკების შედეგები მანამდე მომიყვა, ვიდრე თავისი შტაბის უფროსებს და მინისტრებს გააცნობდა. ჩვენს შორის ახლო ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ვფიქრობ მს არა მარტო ვუყვარდი, როგორც შვილი, არამედ პატივს მცემდა, როგორც მეგობარს. ამრიგად მე ამ კონფერენციებს ვესწრე-ბოდი, ერთის მხრივ, როგორც პრეზიდენტის ოფიციალური ადიუტანტი, მეორეს მხრივ უახლოესი მეგობარი ადამიანისა,რომელიც წამყვან როლს თამაშობდა გაერთიანებული ერების ერთობის უზრუნველყოფაშიროგორც მეგობარი. მეგობარი მე ვიყავი მისი ფარული აზრების სანდო მსმენელი, მე მიზიარებდა თავის სანუკვარ ოცნებებს, საყოველთაო მშვიდობაზე. მე ვიცოდი მისი აზრით რა პირობები უნდა შესრულებულიყო საყოველთაო მშვიდობის დასამყარებლად, ომის დროს ფრანკლინ რუზველტი იყო გაერთიანებული ერების ერთიანობის ხუროთმოძღვარი“.

ელიოტ რუზველტი იხსენებს სტალინთან შეხვედრის ერთ მომენტს: ,,ერთხელ, სადილის დროს, მე მიწვევა არ მიმიღია, მაგრამ, როცა სტუმრებს პირველი თავი საჭმელი მოართვეს, რუსმა, რომელიც სტალინის ზურგს უკან იდგა, შემამჩნია გვერდით შესასვლელთან, დაიხარა და სტალინს რაღაცა ჩასჩურჩულა, როგორც კი დავინახე, რომ მარშალმა ჩემსკენ გამოიხედა,უხერხულობისგან სასწრაფოდ უკან დავიხიე, ის უმალ წამოდგა და ჩემსკენ წამო-ვიდა. ჟესტების საშუალებით სავსებით ნათლად გამოსატა თავისი სურვილი ,რომ საზოგადოებას შევერთებოდი. თარჯიმანმა ეს თავაზიანი მიპატიჟება ინგლისურად გადამითარგმნა, როგორც მან გადმომცა , მარშალს არ სცოდნია, რომ მისმა მდივანმა არ დამპატიჟა .მარშალმა ხელი ჩამკიდა და ოთახში დამბრუნა. ჩემთვის ადგილი იდენსა (ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი) და ჰარიმანს (ამერიკის სახელმწიფო მოღვაწე, ფინანსისტი, რუზველტის მრჩეველი მრეწველობისა და ფინანსების საკითხებში) შორის გაათავისუფლეს. ასე არმოვჩნდი რუსულ ბანკეტზე პირველად ,,(ელიოტ რუზველტი,“მისი თვალით დანახული“. გვ. 12-13).

ცნობილია სტალინის დამოკიდებულება რუზველტის პიროვნებისადმი. სტალინი ამბობდა: ყველაზე დიდი პოპულარობით საბჭოთა კავშირში რუზველტი სარგებლობს, მიუხედავად იმისა, რომ ის კაპიტალისტური ქვეყნის მეთაურია.

რუზველტი თავის მხრივ არ მალავდა, რომ უდიდეს პატივს სცემდა სტალინს. ,,იგი ჩამოსხმულია გრანიტისაგან, რომელსაც ჩადგმული აქვს რუსული სული და გული“. ჩერჩილი სინანულით წერდა, რომ ის ყოველთვის მესამე კაცად მიიჩნევდა თავს კოალიციაში. ამდენად ამ საკითხს მეტს აღარ შევეხები, ჩვენთვის საინტერესო გახლავთ ფრანკლინ რუზველტის ვაჟის ელიოტის ვიზიტი საქართველოში, კერძოდ მახარაძეში.

პირველი, რაც უნდა ავღნიშნო, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია ისტორიული ფოტო, რომელიც ასახავს, ელიოტ რუზველტისა და მისი მეუღლის ფეი ემერსონის(ჰოლივუდის ვარსკლავი) ვიზიტს საქართველოში. ფოტო გადაღებულია კინო ფილმ ,,აკაკის აკვანის“, გადასაღებ მოედანზე. ფოტოზე აღბეჭდილნი არიან: ელიოტ რუზველტი, ნატა ვაჩნაძე, ომარ ჩიტაია(პატარა აკაკის როლის შემსრულებელი), თამარ ციციშვილი, სპარტაკ ბაღაშვილი, კოტე დაუშვილი, კონსტანტინე პიპინაშვილი-ფილმის დამდგმელი რეჟისორი.

თბილისიდან ელიოტ რუზველტი და მისი მეუღლე ბათუმში ჩამოვიდა .ამბობენ, რომ მახარაძეში ისინი სტუმრობდნენ მაშინდელ რაიკომის მდივან ვასო სიხარულიძეს ნამდვილი ამბავი უნდა იყოს ის, რომ ვასო სიხარულიძე წარმოშობით ჩოხატაურიდან, ,სოფელ ბუკისციხიდან იყო . მახარაძეში ის ცხოვრობდა მეუღლის ნატა სანადირაძის ძმის ნარიმანის ოჯახში, მე ეს ინფორმაცია პირადად მოვისმინე ნარიმან სანადირაძის ძმისშვილ ზურაბ სანადირაძისაგან და ვნახე ის ოთახი, სადაც ამერიკელი სტუმრები იყვნენ განთავსებული. ამის შესახებ ადრე ვიუწყებოდით.

მკითხველს შევახსენებ, არსებობს ზეპირი გადმოცემა, რომ ელიოტ

გვ–6

ეკატერინე გურიელის მარტვილობა

ეკატერინე გუნებაში ზეიმობდა, რომ ცბიერებით საწადელს მიაღწია და საფრთხე აირიდა. თავად ცბიერი სულთანი დააეჭვა დავითის სილამაზემ და ეკატერინეს შეუხედაობამ. ეკატერინე მეორე დღეს გადაიყვანეს ხოსროვ ფაშას ბინაზე და ჩააბარეს მის პირველ ცოლს, რომელსაც საგანგებო დავალება ჰქონდა მიცემული: უნდა მოეგო ეკატერინეს გული და სულთანს ცოლობაზე დათანხმებოდა. ეკატერინეს შეუჩინეს მრავალი გამოცდილი მაცდური, პირფერი მაჭანკალი, მაგრამ მისი პასუხი ყველაფერზე ცივი უარი იყო. ამის შემდეგ, ეკატერინე გადაიყვანეს ცალკე სერალში, სადაც დავითსაც აუკრძალეს მისვლა.

ერთ დღეს დავითს მიუტანეს ეკატერინეს ხატი და უთხრეს, მისთვის საჭირო არ არისო. დავითი გაფით-რებულა და უფიქრია, იქნებ გათათრ-დაო. მაჭუტაძე და დოლიძე ერთ-მანეთს არ უტყდებოდნენ და ფიქრობდნენ, იქნებ მოკვდაო. ორი დღის შემდეგ, ხატი ისევ მოითხოვეს. ერთი კვირის შემდეგ, ყიზლარ აღას მოახლე კაცმა იესე დოლიძე იკითხა და უთხრა: „შენ შეგიძლია ნახო ბატონიშვილი ეკატერინე. თუ გინდა წაუღე გურული საჭმელი, ნება გაქვს“. იესე დოლიძე მიიყვანეს სერალში (ამბობენ, იგი უერთგულესი ყმა იყო ეკატერინესი). სადგომში შესულ დოლიძეს, აჩრდილდამსგავსებულმა ეკატერინემ უთხრა, რომ ერთი კვირა არაფერი უჭამია. იესე გაშეშდა.

— ბატონიშვილი სადაა, ჩემი დავითი? ვერ მცნობ? მე ეკატერინე ვარ,— და წასკდა მწარედ ჩუმი ქვითინი,— გურული პური არ მოგიტანია? — ჰკითხა ეკატერინემ.

დოლიძემ მიართვა მცირე გურული საჭმელი და ღვინო. დოლიძეს ეკატერინე მხოლოდ ხმით უცნია. იესე დოლიძე გადმოგვცემს ეკატერინეს სიტყვებს: „მარგალიტი თავზე მაყარეს...დამიბნელეს თვალები ოქრო-თი და ალმასით, მაგრამ ჩემი „ძელი ჭეშმარიტი“ კი მომპარეს»... ოჰ, რა საშინლად ვიტანჯებოდი მაშინ!.. ორ დღეს სრულებით გადავირიე. როგორ მომაბრუნეს, არ ვიცი. კი გავკეთდი, ხომ, განა იესე? საშინლად გავკეთდი ხომ? ძალიან კი ვიმარხვე: არც ერთი ლუკმა პური, არც ერთი წვეთი წყალი არ ჩასულა ჩემს პირში... როგორ მივიკარებდი აქაურ ბოროტებას?! რა საშინელებაა ხვანთქარი. რა საშინ-ლად მძულს მე ის, რომ იცოდე... ძალად უნდოდა, მაგრამ არა — მაშინ სიკვდილი უმჯობესია. კი, უფლება მრავალი აქვს, მაგრამ მე უფრო ძლიერი არა ვარ იმაზე, ვიდრემდის უფალი ჩემთან არის?! როგორ მიხარია, რომ შენი ნახვა მოვახერხე. ვიდრემდის უფალი ჩემთან არის... იასე, რას იტყვი შენ? ვერ შეისმენ, უფალო, დრტვინვას ჩემსა, იყავ ნება შენი. იესე! მე ვარ შვილი მამიასი და სოფიოსი და წარვსდგები ცაში მათ წინაშე მათ ღირსად შვილად, ეგრეთვე ქრისტიანად, ვითა იგინი, ეგრეთვე ნამუსიანად, ვითა იგინი... იესე! ილოცე ჩემთვის, სულყველას უთხარი, ილოცოს ჩემთვის; ჩემ ძმას უთხარი, ილოცოს ჩემთვის... ხომ ხედავ, მტერთა შორის ვარ! ნამუსაყრილ ურწმუნოთა შორის, უსინდისო და თახსირთა შორის... ოჰ, უთუოდ გამაგიჟებს ეს მდგომარეობა... გუშინ კიდევ იყო ჩემთან ხონთქარი, გუშინაც მეალერსებოდა და ბოლოს მაშინებდა, „რომ მოვინათლო, არც მაშინ შემირთავ ჩემო ურიავ?!“ — მკითხა მე. „ოჰ, მაშინ მე ვიქნებოდი პირველი მხევალი თქვენი. კი თუ არა? —კიდევ მკითხა მან. ჩემ მაგიერ წიაღ მყოფ მხოლოდ მკვდარ სხეულს,— ვუპასუხე მე. მან დამიქნია თავი საში-ნლად და გავიდა. ოჰ, რა საშინელია, იესევ!“ (უცნობი ავტორი — „ამბავი კნეინა ეკატერინე ჩიჩუასი, გურიის უკანასკნელი მთავრის ასულისა“, ჩაწერილია ტბილისს, 1840 წელს).

წყაროებით ცნობილია, რომ იესე დოლიძესაც ჰპირდებოდნენ ოქროვერცხლს ეკატერინესთვის რჩევის მისაცემად, რომ დათანხმებოდა სულთანს, მაგრამ ეკატერინეს არაფრის გაგონება სურდა; იესესაც არ სურდა ეკატერინეს გაუბედურება. იესე ხორუჯის (ოსმალთათვის ამ პერიოდში დღე არის ღამე) დროს ნახვაც აუკრძალეს და ეკატერინეს ამბის უცოდინრობამ რამდენიმე თვეს გასტანა. ერთხელაც, იესეს გადასცეს ეკატერინეს წერილი, სტამბოლში რუსეთის ელჩისთვის განკუთვნილი, სადაც იგი ითხოვდა შემწეობას რუსი ხელმწიფისგან. როგორც ირკვევა, ეს წერილი დაწვეს და ადრესატამდე ვერ მიაღწია. ეს დაახლოებით, 1831 წლის პირველი ნახევარი უნდა ყოფილიყო.

სამშობლოში დაბრუნება ბატონიშვილი დავითი

სოფიოს გარდაცვალების შემდეგ, გენერალი პასკევიჩი აცნობებდა იმპერატორს: „ახლა დადგა ის დრო, რომ გურია საბოლოოდ შეუერთდეს რუსეთის იმპერიას. მემკვიდრეების შესახებ კი: აუცილებელია გამოეცხადოს დავითს, რომ საბოლოოდ დაკარგა ყოველგვარი უფლება გურიის სამთავროზე. სამაგიერო მამული რუსეთში მიეცემა.

დედოფლის უფროს ქალს ეკატერინას, როცა ის ტრაპეზუნდიდან დაბრუნდება, უფლება მიეცეს, იცხოვროს გურიაში და ჩამორთმეული ქონების ნაცვლად, დაენიშნოს პენსია, ხოლო დანარჩენ უმცროს ასულთ კოჭიბროლას (9 წლის), სოფიოს (7 წლის) და ტერეზას (5 წლის) გამოვგზავნით პეტერბურგს ისინი მოთავსებული უნდა იქნენ სახელ-მწიფო ხარჯით სმოლნის მონას-ტერში. მოღალატე თავადებს, რომლებიც დედოფალს ოსმალეთში გაყვნენ, სამუდამოდ აეკრძალოთ სამშობლოში დაბრუნება და მათი ქონება ახლავე ჩამორთმეულ უნდა იქნასო.

ეს სასტიკი განაჩენი იყო.

რუსეთის მთავრობამ გენერალ პასკევიჩის ეს გეგმა მთლიანად დაამტკიცა.

1830 წლის 22 იანვარს გურია რუსეთის იმპერიაში შესულად გამო-ცხადდა.

იმპერატორის ეს განცხადება ოსმალეთში სარდინიის კონსულის საშუალებით ეცნობა დავითსა და ეკატერინეს.

ერთი წლის შემდეგ მთავარმართებელი როზენი შეეცადა ეს გადაწყვეტილება შეერბილებინა. ამას ორი მიზეზი ჰქონდა: როზენის აზრით, ოსმალეთში დარჩენილი დავითი მუდამ სახიფათო იქნება ჩვენთვისო. როცა გაიზრდება, უფრო შეიძულებს რუსეთსო, რომელმაც ყველაფერი წაართვა და ასე დასტანჯა. ერთ-ხე-ლაც შეიძლება მოსაზღვრე ოსმალ-ეთში მისი ყოფნა ჩვენთვის მავნებელი იყოსო. რუსეთის მთავრობამ ეს სიფრთხილე გაიზიარა და ემიგრანტ თავადებსაც ნება დართეს გურიაში დაბრუნებულიყვნენ. ამ ამნისტიის გამოსაცხადებლად პლატანაში გურიიდან გაიგზავნა შემოქმედის მონასტრის მღვდელი ივანე კანდელაკი. ყველაფერი მზად იყო წამოსასვლელად, მაგრამ ეკატერინე არ ჩანდა, დავითი ცხარე ცრემლებით ტიროდა. დრო გადიოდა. როცა ეკატერინე მოიყვანეს, მან ვერ იცნო: — ვინ ხარ? — შესძახა ძმას.

— საყვარელო დაო! ძმა ვარ შენი, დავითი ვარ! — დავითი ხარ? ხვანთქარიც დავითი არ არის?! არა, ავაზაკო! ჰა...ჰა...ჰა.....ოლოლო, ოლ-ოლო... ჩემ მაგიერ, წიაღ უყოფ შენ მხოლოდ მკვდარსა სხეულსა, ჰა, გესმის? გაიგე თუ არა? წარვედინ, წარვედინ ხვანთქართან... ჰოი, გესმით? თქვენც, ეშმაკნო! არ მსურს, არ დავნებდები ცოცხალი! — ამ საშინე-ლებამ თავზარი დასცა ყველას, ეკატერინე შეშლილი იყო.

ოსმალეთში იმჟამად შავი ჭირი მძვინვარებდა. 1832 წლის 15 სექტემბერს ლტოლვილები მოვიდნენ წმინდა ნიკოლოზის (შეკვეთილი) ნავსად-გურში. აქ მათ კარანტინისათვის საჭირო დრო გაიარეს.

ეკატერინე ოზურგეთში გაგზავნეს. დავითი და მისი აღმზრდელი — თბილისს. როზენი არ ჩქარობდა დავ-ითის რუსეთში გაგზავნას. ის ითხოვდა გურიის სამთავროს მემკვიდრისათვის დაენიშნათ წლიურად 5 ათასი მანეთი. ის თვლიდა, რომ ეს იყო სულ მცირედი იმ ქონებიდან, რომელიც ახალგაზრდა მთავარს ძალით ჩამოართვეს. ეკატერინესათვის როზენი ითხოვდა 1500 მანეთს. პეტერბურგის მთავრობას კი წერდა: „გაზაფხულზე გამოვგზავნი დავითს, რომელსაც სურს თან ეახლოს მისი გამზრდელი, მაიორი დავით მაჭუტაძე... ის განათლება, რაც მიღებული აქვს დავითს, უეჭველად სასიქადულო დამსახურებაა მისი აღმზრდელის დავით მაჭუტაძის და ამ განათლებასთან მისი მაღალზნეობა და შესანიშნავი გარეგნობა მართლაც მომხიბლველიაო“.

1833 წლის გაზაფხულზე დავით მაჭუტაძემ ბატონიშვილი პეტერბურგში ჩაიყვანა და იქაურ ქართველთა წრესაც გააცნო. შემდეგ ნიგოითში მყოფი ყოფილი სახლთუხუცესი ძალიან წუხდა, რომ დიდ გურიელთა და სოფიოს მემკვიდრე მან პეტერ-ბურგში პაჟთა კორპუსს ჩააბარა, რომელიც მისმა აღზრდილმა დაამთავრა 1838 წელს ოფიცრის ჩინით და 1839 წელს, დაღესტანში გაგზავნეს შამილის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რუსეთის ხელისუფლებას ამ დროს უკვე მისი მოცილება უნდოდა, თორემ ამ საშინელ სისხლისღვრაში არ გაუშვებდა 19 წლის ტახტის მემკვიდრეს. დავით გურიელი დაიღუპა 1839 წელს ახულგოს აღების დროს

ეკატერინეს ბედი

დრო გადიოდა. მძიმე დღეების შემდეგ, ეკატერინე განიკურნა. თუ როგორ — ჩვენთვის უცნობია.

მხოლოდ ის ვიცით, რომ ბატონიშვილმა თანდათან დაიბრუნა თავისი ჯანმრთელობა ისე, რომ ახლობლებმა მისი გათხოვება გადაწყვიტეს. ასეთი ახლობელი იყო ოდიშის სამთავროს დედოფალი, ზურაბ წერეთლის ასული მართა, რომელიც დედის მხრიდან მამია V გურიელის ბიძაშვილი იყო.

1834 წელს გამოჩნდა სასიძო ჩიჩუათა გვარიდან — რუსეთის არმიის ახალგაზრდა ოფიცერი ოდიშის მთავრის სახლთუხუცესი ლევან ჩიჩუა.

„გურიელთა მოდგმის მშვენება» (პროფესორი იური სიხარულიძე) — ეკატერინე მას გაჰყვა ცოლად. ულამაზეს ეკატერინეს ყველა თავს ევლებოდა, მაგრამ უძლიერესი სტრესის გამო, რომელიც სტამბულში ყოფნისას გადაიტანა, მშვენიერი მეუღლის სიყვარული გულს ვერ მიეკარა. ეკატერინე ბატონიშვილი მალე დაქვრივდა, სამთავროს სახლთუხუცესი მოულოდნელად გარდაიცვალა.

ლევან ჩიჩუას გარდაცვალების ოფიციალური ვერსია არ არსებობს. პროფესორ იური სიხარულიძის ვარაუდით, ეს უნდა ყოფილიყო დიდი დაძაბულობა, რომელიც შეიქმნა იმ დროს ოდიშის სამთავროს კარზე ჩიჩუათა უპირატესობის აღმოსაფხვრელად;

ჩიქოვანებმა მართლაც მიაღწიეს საწადელს — სახლთუხუცესის სახელო, ჩიჩუების ნაცვლად, ჩიქოვანებს გადაეცა. ამ ბრძოლას შეეწირა თუ არა ლევან ჩიჩუა, დანამდვილებით არაა ცნობილი (ი. სიხარულიძე, „ეკატერინე ვარდანიძე, მამია V გურიელის ასული», ხელნაწერი, გვ.65).

მართა წერეთელმა ეკატერინე მამიას ასული თავის სახლში გადაიყვანა. ეკატერინე ბატონიშვილის და — ტერეზია, პეტერბურგში იმყოფებოდა. 1837 წელს პეტერბურგში ჩადის ოდიშარი

გრიგოლ ლევანის ძე დადიანი, რომელსაც თავდავიწყებით შეუყვარდა ტერეზია (ტერეზია რუსეთის დედოფლის ფრეილინა იყო). 1840 წელს, ეკატერინე ბატონიშვილი თბილისში ჩავიდა მამის სასახლეში, საიდანაც პეტერბურგში გაემგზავრა. ეკატერინეს თან გაყვნენ იასე გურიელი და ერთი მუნჯი მოახლე ქალი, რომლის ვინაობა ცნობილი არაა, მაგრამ თავის მოვალეობას ერთგულად ასრულებდა.

1840 წელს ეკატერინე ჩავიდა პეტერბურგში, თავისი დის ტერეზიას ჯვრისწერაზე. ეკატერინე გურიელის დის — ტერეზიას მეუღლე იყო გრიგოლ დადიანი (1814—1901), სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის ძმა. 1828 წლიდან სწავლობდა პეტერბურგის პაჟთა კორპუსში. 1834 წლიდან მსახურობდა პეტერბურგის ლაიფგრენადერთა პოლკში, შემდეგ პრეობრაჟინსკოეს პოლკში. 1844

წელს მიიღო პოლკოვნიკის ჩინი. ტერეზია გურიელისა და გრიგოლ დადიანის ჯვრისწერა საიმპერატორო კარის ეკლესიაში შემდგარა. მათ ჯვარი დასწერა ხელმწიფის მოძღვარმა ბაჟანოვმა მეფის სასახლის ეკლესიაში. ჯვრისწერას ესწრებოდნენ რუსეთის დედოფალი და თვით იმპერატორი ნიკოლო I. იმპერატორი და დედოფალი მეჯვარენი იყვნენ. ალბათ, ეს „სათნოება“ ტერეზიას ერთადერთი ძმის — გურიის ტახტის მემკვიდრე დავითის ახულგოსთან დაღუპვის გადასაფარად გაიღეს (ი. სიხარულიძე).

მარი ბროსეს ცნობით, სოფიო დედოფლის ასულნი: სოფიო გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა, 16 წლის, კოჭიბროლას შესახებ ცნობები არ არსებობს.

1842 წელს, შეუღლებულები ზუგდიდში — სამშობლოში დაბრუნდნენ. ტერეზია გურიელი გარდაიცვალა 1871 წელს, გრიგოლ დადიანი — 1901 წელს, დაკრძ-ალულია მარტვილის საკათედრო ტაძარში.

სავარუდოდ, ტერეზია გურიელი დაკრძალული უნდა იყოს მეუღლის გვერდით. შთამომავლები არ ჰყოლიათ. ეკატერინე პეტერბურგში დარჩა, დედოფლისა და იმპერატორის მფარველობის ქვეშ.ასე გაგრძელდა ალბათ, ნიკოლოზ პირველის გარდაცვალებამდე. ბარე 15 წელი ეკატერინე ბატონიშვილის ბედი ჩვენთვის უცნობია.

ჩვენთვის უცნობია ასევე თუ როგორ დაასრულა სიცოცხლე გურიელთა გვარის მშვენებამ, უპირველესმა ქრისტიანმა ეკატერინე ბატონიშვილმა. მომავალმა თაობამ კი უნდა იცოდეს ამის შესახებაც. მისი პეტერბურგში ცხოვრების კვლევა მომავლის საქმეა.

მანანა ლომაძე

გაგრძელება, დასაწყისი „ალიონი“ №16-18

რ/კ „აგროლიხაურის“ წევრთა საყურადღებოდ!

2022 წლის 15 ივლისს, სოფ. ლიხაურის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში, საღამოს 5 სთ-ზე, მოწვეულია რ/კ „აგროლიხაურის“ წევრთა რიგგარეშე კრება.
დასწრება სავალდებულოა

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

ელიოტ რუზველტი ვაკიჯვარში

რუზველტს მახარაძის მაშინდელმა საზოგადოებამ, შეხვედრა მოუწყო ოზურგეთის ცენტრალურ ბაღში, ყოფილ „მთავრის ბაღში“, ახლანდელ „ჭადრების ბაღში“, სადაც ადრე იმართებოდა ცნობილი საქალაქო დღესასწაული „ალეგრობა“. ეს დღესასწაული სულ რაღაც 3-4 წლის შეწყვეტილი იყო, რადგან მეორე მსოფლიო ომის დაწებამ (1941წ,) შეაჩერა . ხალხს კარგად ახსოვდა მისი ყველა ელემენტი. სტუმრის შესახვედრად ბაღი მოწყობილი ყოფილა. .აქ მომხდარა გურული სამზარეულოს ჩვენება: წვავდნენ მწვადებს, ცხვებოდა ყველიანი კვერი, ავლებდნენ ჩურჩხელებს, ხდიდნენ ჭაჭის არაყს, თეატრის მსახიობები: სამსონ ხურციძე, ევსტროფი თალაკვაძე, რომან ლომინაძე, ანნა ანდღულაძე მონოლოგებს კითხულობდნენ სპექტაკლებიდან, აქვე უკრავდა სასულე ორკესტრი, ხელმძღვანელი მუსიკოსი ჩითან თალაკვაძე, ელიოტმა, რომელიც თურმე საყვირზე შესანიშნავად უკრავდა კუკური დოლიძის საყვირით, ამერიკის ჰიმნი დაუკრა და დიდი ოვაციები დაიმსახურაო. ამის შემდეგ ვასო სიხარულიძეს საპატიო სტუმრები მშობლიურ ბუკისციხესა და სურების სანახებში წაუყვანია. ამის შესახებ გამოქვეყნებული იყო 2019 წლის 22 არილის „ალიონში“.

ახლა მკითხველს ვთავაზობ ელიოტ რუზველტის ვაიჯვარში სტუმრობის დეტალებს, რომელიც მიამბო ბატონმა ლევან ნინიძემ: „ჩემი მეუღლის ლია გიორგაძის ბაბუა იყო ყისარ გიორგაძე, რომლის ოჯახშიაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა სოსო ჯუღაშვილი იმალებო და. ალბათ სოფელი ვაკჯვარი შერჩეული იქნა ერთის მხრივ როგოც ულამაზესი და საგარაკე სოფელი და მეორეს მხრივ ყისარ გიორგაძის, როგორც სანდო ოჯახი. ერთ დღეს როცა ელიოტი ეზოში ოჯდა დაისვენებდა გზ აზე დაუნახავს ცხენით მიმავალი მგზავრი, მოუდომებია ცხენზე დაჯდომა, დააჯინეს ცხენზე თუ არა ცხენი გაჭენებულა,ელიოტი ცხენიდან გადმოვარდნილა და მსუბუქად დაშავებულა, ამის გამო რამდენიმე დღე ვაკოჯვარში დარჩენილა. ამ დროს ყისარ გიორგაძის მეზობელი, ნური .მდინარაძის მეუღლე ორსულად ყოფილა ნურის უთქვამს თუ ბიჭი გამიჩნდა ელიოტს და ვარქმევ თუ გოგო ფეისო. დაბადებულა ბიჭი და ელიოტი დაურქმევიათ. ელიოტა (ასე ეძხდნენ) მდინარაძე წლეების მანძილზე ტაქსის მძღოლად მუშაობდა და რამდენიმე წლის წინათ გარდაცვლილა.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ყისარ გიორგაძის ოჯახში იმალებოდა იოსებ ჯუღაშვილი. იოსებ ჯუღაშვილი გურიაში 1902 წელს ოზურგეთის რაიონის მკვიდრ როტშილდის ქარხნის მუშა ილია შარაშიძესთან ერთად. ჯუღაშვილის ხელმძღვანელობით პირველი პოლიტიკური კრება ჩატარდა სოფელ ხიდისთავში ესე კალანდაძის ოჯახში.

სოსო ჯუღაშვილი ათი დღე იმალებოდა ყისარ გიორგაძის ოჯახში თურმე დილით მოდიოდა და ღამით მიდოდა. ბატონი ლევანი ივონებს:: ყისარის დამ ფასულამ კარგი კერვა იცოდა და სოსოსათვის შეუკერავს ჩიჩონჩის კიტელი, რომელიც არ ჩაუცვამს. მე თვითონ მინახავს, ნაჭერი დიდი ხნის იყო დროისგან დაზიანებული და ხელი ,რომ მოვკიდე დაცრეცილი იყო. ფასულას ასევე შეუკერავს შარვალი „ჯალიფე“, მაგრამ ზომები თავად ყისარს აუღია. ყისარ გიორგაძის ოჯახიდან მთისპირში გადასულა გერმანე თალაკვაძის ოჯახში, რომელსაც ხიდისთავში მალულად გადაჰყავდა. როგორც მისი შვილიშვილი ნოდარ თალაკვაძე გადმოქცემს, შემდგომ წლებშიც ჰქონდა კავშირი იოსებ სტალინთანო.

ელიოტ რუზველტის ვაკოჯვარში სტუმრობის ამბები, რომელიც კარგა ხნის მივიწყებული იყო შემოგვინახა ყისარ გიორგაძის ოჯახმა კერძოდ მისმა შვილიშვილმა ქალბატონმა ლია გიორგაძემ და მისმა მეუღლემ ლევან ნინიძემ.

ამჟამად ყისარ გიორგაძის ოჯახში ცხოვრობს მისი შვილიშვილი გივი ნინიძე.

როგორც ამბობენ მახარაძეში სტუმრობით კმაყოფილი დარჩენილა ბატონი ელიოტი, ამბობდა თურმე:“ „მე დაუვიწარი დღეები გავატარე მახარაძეშიო“.

მანანა ლომაძე

ოზურგეთის სამუზეუმო

გაერთიანების ფონდების მცველი

მაკ ჯორჯიას თეატრალური ფესტივალი 2022

ჩოხატაურის მუნიციპალტეტის ხელოვნების სასახლემ ადგილობრივი მერიის, კულტურის ცენტრისა და რესურსცენტრის მხარდაჭერით 27-- 29 ივნისს არასამთავრობო ორგანიზაცია „მაკ ჯორჯიას“ რეგიონულ ზაფხულის სასკოლო თეატრალურ ფესტივალს უმასპინძლა. 30 ივნისს კი ფესტივალის დახურვის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა.

ფესტივალში მონაწილეობდა „მაკ ჯორჯიას“ თეატრალური დასები, პარტნიორი სკოლებიდან: (სოფ. ჩხარის, სოფ. გორდას სკოლები თერჯოლიდან; სპავშვო თეატრი „თეატრი“,სოფ. მენჯევის სკოლა, საჩხერიდან ;სოფ. დოლოგანის სკოლა,ქედადან; სოფ. აწყურის სკოლა, ახალციხედან;

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლების სკოლამ „რომეო და ჯულიეტა“ (რეჟ. ვახო ჩხარტიშვილი) და „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“(რეჟ. ქეთევან კუკულავა); ხოლო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩოჩხათის სკოლამ –„სისხლი“ (რეჟ. სოფო გოგუაძე).წარმოადგინეს.

ფესტივლაზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ზედა სიმონეთის სკოლის თეატრალურმა დასმა წარმოადგინა 2021 წლის ფესტივალში გამარჯვებული სპექტაკლი „დოქტორ პაპადაჩის ვალსი” (რეჟ. ზურა აბესაძე.)

„მაკ ჯორჯიას“ ზაფხულის ფესტივალის გამარჯვებული გახდა ახალციხის სოფელ აწყურის საჯარო სკოლის თეატრალური დასი სპექტაკლით „პატარა პრინცი.“ (რეჟისორები ლექსო ჩემია და ანი ხუბუტია.)

საუკეთესო ლიტერატურულ სპექტაკლად დასახელდა ჩოხატაურის კულტურის ცენტრთან არსებული ბავშვთა თეატრის სპექტაკლი „გეყურებათ თქვენ?“ - რეჟ. ქეთევან კუკულავა.

სკანვორდი



პასუხები:

ჯვარედინი: ნინიკო, ანდია, ანდრეა, ანანია, ანანია, ანანია

ქართული სოციალ-დემოკრატია რევოლუციის დამარცხების შემდეგ (1906-1907 წწ.)



რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის მიმართვა მართლმადიდებელი მრევლისადმი რევოლუციის დაწყებასთან დაკავშირებით

1905 წლის 14 იანვარს რუსეთის ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა რევოლუციის დაწყებასთან დაკავშირებით მართლმადიდებელ მრევლს მიმართა. ეს მიმართვა თბილისში 1905 წლის 1 მარტს გამოქვეყნდა ქართულ ენაზე. მოგვყავს ამ მიმართვის ტექსტი მთლიანად:

„წყალობითა ღვთისათაუწმიდესი უმართებულესი სინოდი საყვარელ მართლმადიდებელის სრულიად რუსეთის ეკლესიის შვილთა მიმართ *მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სიყვარული ღვთის და მამისა და ზიარება სულისა წმიდისა იყავნ თქვენთანა.*

დიდი უბედურება მოუვლინა უფალმან ჩვენს ძვირფასს სამშობლოს. წელიწადი ჩქარა შესრულდება, რაც რუსეთი ჰღვრის სისხლსა და ებრძვის წარმართთა თავისი ისტორიული დანიშნულებისა გამო დასამყარებლად ქრისტიანობრივის განათლებისა შორეულ აღმოსავლეთში და თავის პატივის და ღირსების დასაცველად, რომელიც დაამცრო მტერმა მოულოდნელი თავ-დასხმით. მრავალ გვარად ცდილობდა თავიდან აეცილებინა უკეთილმსახურესს მშვიდობის მოყვარე ჩვენს ხელმწიფეს, მაგრამ რუსეთს ომი მაინც არ ასცდა. საშინელი განსაცდელი მოგვევლინა ღვთისაგან და ყველამ უნდა მივიღოთ ეს მოვლენა ჩვენი ცოდვების გამო უღრტვინველად, სინანულით და გრძნობით წინაშე ღვთისა და მის მიუწდომელ განგებისა, შესახებ რუსეთისა. თუმცა ბევრი ფიქრობს, თავის იმედისა და ზვიადობის გამო, რომ მტერს ადვილად სძლევს. ჩვენის სარწმუნოებისა და თმენის მბძმე განსაცდელი უკვე იწყება, ჩვენმა ქრისტეს მოყვარე მხედრობამ თუმცა მთელს ქვეყანას დაანახვა შორეულს და უცხო მხარეში თავისი ახოვანება და მოთმინება, მაგრამ ჩვენთა გმირთა და მცველთა ვერ იხსნეს მტრის ხელისაგან ჩვენი სიმაგრე და დარჩა მტერს პორტ-არტურის ციხე; ომის ბოლო, რომელსაც უნდა მოხმარდეს მთელი ხალხის ძლიერება, ღვთისა ნებისაებრ არა ჩანს.*

მბძმე განსაცდელის დროს, რომელიც ეწია ჩვენ საყვარელ სამშობლოსა, ყველამ, დიდმა და პატარამ, წარჩინებულმა და უბრალო გლეხმა, უნდა გამოაჩინოს თვისი მტკიცე სარწმუნოება, მოუძღვანოს ვედრება და ლოცვა უფალსა, განიწმიდოს თავისნი ცოდვანი სინანულისა ცრემლითა და ერთობით აღვსდგეთ დასაცველად სარწმუნოებისა, მეფისა და მამულისათვის და აღვიღოთ, სიტყვისაებრ წმიდისა მოციქულისა: „ყოველად საჭურველი იგი ღვთისა, რათა შეუძლოთ წინა-დადგომად დღეს მს ბოროტსა, და ყოველსავე იქმოდეთ, რათა სდგეთ“ (ეფესელთა მიმართ, VI, 13). ეხლა კიდევ სხვა განსაცდელი მოგვევლინა ღვთისაგან – უბედურება – უმწარესი წინანდელზე, ესე იგი ომზედ უარესი, ეწია ჩვენს საყვარელს სამშობლოსა.*

*სატახტო ქალაქსა და სხვა რუსეთის ქალაქებში გროვდებიან მუშები და უბანუბან უწესოებას ახდენენ.** რუსეთის ერი, რომელიც დასაბამითგანვე მართლმადიდებელი და ძველადვანვე ჩვეულნი ერთგულობაში სარწმუნოებისა, მეფისა და მამულისათვის, სხვა და სხვა ბოროტმზრახველთა პირთა შთაგონებით, რომელნიც შინაურნი და გარეულნი მტერნი სამშობლოსანი არიან, ანებებენ თავს ათიათასობით თავის ჩვეულებრივ მშვიდობიან მუშაობას და თავის სიმრავლით და ძალადობით სურთ, დაიბრუნონ ვითომდა წართმეულნი უფლებანი. ამ ბრბოებმა მრავალ მყუდროდ მცხოვრებთ მიაყენეს უსიამოვნება და წუხილი მრავალი, პურის ლუკმა გაუწყვიტეს და სიკვდილი მოუსწრაფეს, რომელთაც თავის ძმათა-ვანთა, გულით გამოროტებულთა და პირით მოლაღეთა და მაყვედრებელთა, მუშა ხალხის ამრევთა, რომელშიაც გაერია უღირსი სამღვდელო პირი,*** შემგინებელი უსირცხოდ წმიდისა სულისა და გაბმული საეკლესიო პასუხის გებაში, გაკადნიერდა, და აიღეს ხელში პატიოსანი ჯვარი, ხატები და დროშები საკდუნებელად და დაღუპვად მორწმუნეთა. სამწუხაროდ, მისაჩნევია ეს არეულობა მომეტებულად იმისთვის, რომ აქ ფულით მოქმედობენ ჩვენი მტრები, დამრღვეველნი საზოგადო შშვიდობისა. რუსეთში ჩვენმა მტრებმა დიდი ფული მოიტანეს იმისთვის, რომ ყველანი ერთი-მეორეს გადაჰკიდონ, მუშა ხალხი საქმეს მოაშორონ, წინააღუდგნენ ჯარის გაგზავნას შორეულ აღმოსავლეთში ხმელეთით და ზღვით, ან კიდევ იქ მყოფ ჯარს საზრდო-საჭმელი არ ეძლევოდეს თავის დროზედ და აგვარი დაბრკოლებით და არეულობით რუსეთი ჩაგდონ უზომო უბედურებაში. ჩვენს მტრებს უნდათ, რომ მთლად დაემხვას ჩვენი ძლიერება, ჩვენი მართლმადიდებელი სარწმუნოება და მეფის უფლება. რუსეთი უამითოთ ვერ იცხოვრებს და დაიღუპება, რადგანაც ამათ გაადიდეს და გაძლიერეს.*

ოჰ, რა დიდად და საშინლად სამწუხაროა! რუსეთის ხალხი, მართლმადიდებელნი ქრისტეანენი წინააღუდგებიან სჯულიერს ხელმწიფესა, მტრობენ ერთმანერთს და ებრძვიან, ისიც როდის? იმ დროს, როდესაც მთი ძმები შორეულ აღმოსავლეთში ჰღვრიან სისხლსა და მტერს ებრძვიან, როდესაც ჩვენი მანუგეშებელი ხელმწიფე, მისი მეულლე და დედა თავდადებულნი არიან დაჭრილებისათვის და ავადმყოფებისათვის და მოულალავად ზრუნავენ, შეუსუბუქონ ტანჯვა და მწარე მდგომარეობა, რომელშიაც ისინი ჩავარდნენ ჩვენის სახელმწიფოს სადიდებელად და გასაძლიერებელად. მოიფიქრეთ, საყვარელნო ძმნო, რა გვარად საშინლად სწუხს ყოველსა ამაზედ ჩვენი ღვთივ გვირგვინოსანი მთელის რუსეთის მხედართ მთავარი, რა გვარად შესწუხდება ჩვენი თავ-გამოდებული სახელმწიფოსათვის მხედრობა, როდესაც სატახტო ქალაქში და მთელ თავის სამშობლოში მომხდარს არეულობას გაიგებს, რა გვარად გახარებს და გაძლიერდება ჩვენი მტერი, დამხახველი ჩვენში შვოთისა და განხეთქილებისა?!

მაგრამ არა უსჯულოებათაებრ ჩვენთა ჭეშმარიტად მოყო ჩვენ უფალმან და არცა ცოდვათაებრ ჩვენთა მომაგო ჩვენ. ამ განსაცდელში ვხედავთ უზენაესის მოწყალე მარჯვენესა. რომელი უყვარს უფალსა, საკრეს მას. *იგი, მრავალ მოწყალე, გვსჯის მისთვის კი არა, რომ სრულებით დაგიღუპნეთ, არამედ დავდგეთ სინანულის გზასა.*

უწმიდესი სინოდი დიდად სწუხს ამ დროის წარწყმედულის არეულობისა გამო და ევედრება წმიდის მართლმადიდებელისა ეკლესიას სახელითა ყოველთა იმის შვილთათვის: „ღვთისა გეშინოდეთ, მეფესა პატივს-ცემდეთ“ (1 პეტრე, II, 17), „და ყოველთა უფლებათა, ღვთისაგან განწესებულთა, დაემორჩილენით“ *(რომაელთა მიმართ, XIII, 1).*

მწყემსნო წმიდისა მართლმადიდებელისა ეკლესიისანო: „ჰქადაგეთ სიტყვა, ზედა ადექით ჟამითი უჟამოდ, ამხილეთ, შერისხენით და ნუგეშინის-ეცით ყოველითა სულგრძელებითა და მოძღვრებითა“ (2 ტიმოთე, IV, 2). „სახე ექმენით მორწმუნეთა სიტყვითა, სვლითა, სიყვარულითა, სულითა, სარწმუნოებითა და სიწმიდითა“ *(1 ტიმოთე, IV, 12).*

უფლებისა მქონებელნო: „ეთმეთ სიმართლე, იხსენით დევნულნი, უწყალეთ ობოლსა და ქვრივსა ჰფარვედით“ *(ისაია I, 16-17).*

მდიდარნო: „ნუ ესავთ სიმდიდრესა მას უჩინოსა, არამედ ღმერთსა ცხოველსა, კეთილსა ჰყოფდით, განსმდიდრდით კეთილითა საქმითა, მოწყალებითა და ქველის-მოქმედებითა“ *(1 ტიმოთე, VI, 17).*

შრომის მოყვარენო რუსეთისანო, კაცნო მუშაკნო! როგორც ბრძანებს უფალი: „ოფლითა პირისა თქვენისათა სჭამეთ პური. ნუ დავიწყებთ, რომ ვინც არა შრომობს, არ არის ღირსი პურის ჭამისა. ერიდეთ ცრუ მრჩეველთა თქვენთა, რომლებიც ვითომ ზრუნავენ თქვენთვის და არეულობაში თქვენს სარგებლობას და საჭიროებას ეძებენ, რომლებიც თქვენვე გაშორებენ თქვენს ჭერსა და ლუკმას გაკლებენ. ისინი თქვენ კი არა გეშველიან, არამედ თქვენს და ყველას მტერს, რომელსაც სურს ჩვენი ქვეყნის დაშლა და გაოხრება.

უფლისა მიერ საყვარელნო შვილნო წმიდისა მართლმადიდებელისა ეკლესიისანო! უწმიდესი სინოდი იმედეულობს, რომ ამ სიტყვას და დარიგებას ჭეშმარიტისა სწავლისას მტკიცეთ ჩაინერგავს თქვენ გულში და, ამასთანავე, გიძღვნით მოციქულებრივსა კურთხევასა:

„წყალობა თქვენთანა, და მშვიდობა და სიყვარული განმრავლდინ“ *(იუდეველთა, I, 2).*

მდაბალი **ანტონი,** *მიტროპოლიტი ს.-პეტერბურგისა და ლადოგისა.**

მდაბალი **ვლადიმირი,** *მიტროპოლიტი მოსკოვისა და კოლომენისა.***

მდაბალი **ფლავიანე,** *მიტროპოლიტი კიევისა და გალიციისა.*

მდაბალი **ნიკოლოზ,** *არქიეპისკოპოსი ფინლიანდიისა და ვიბორგისა.*

მდაბალი **კლიმენტი,** *ეპისკოპოსი ვანიცკისა.*

ს.-პეტერბურგი.

14 იანვარი, 1905 წლისა."

რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის მიმართვასთან ერთად თბილისში რუსულ და ქართულ ენებზე გამოქვეყნდა საქართველოს საეგზარქოსოს მიმართვაც, რომლის ტექსტიც ქვემოთ მოგვყავს:

„გიცხადებთ თქვენ, მორწმუნენო შვილნო ქრისტეს ეკლესიისანო, ამა მოძღვრებასა უწმიდესის სინოდისას, უმაღლესის სასულიერო მთავრობისას, ჩვენ საქართველოს საექსარხოსოს მღვდელთ-მთავარნი გევედრებით, საყვარელნო, რომელ, თანახმად სიტყვისა უფლისა იესო ქრისტესისა: **„რომელმან არა ისმინოს ეკლესიისა, იგი არს წარმართი“ (მათე, 18, 14)** და არა ქრისტეანე. დიდად სამწუხაროდ, კავკასიის მთების გადმოღმა გაიმართეს ბუღე იმ ბოროტის მყოფთა ეკლესიის და რუსეთის მტერთა, რომლებიც უწესოებას ახდენენ აქა-იქ სხვა-და-სხვა რუსეთის ქალაქებში, რომლებზედაც გვაუწყებს უწმიდესის სინოდის მოძღვრება. ჭირივით ძალზედ ვრცელდება ბოროტი სწავლა.* რა გვარი ბოროტება არა ჰქმნეს ბოროტის მყოფელთა ჩვენ მხარეში. სცარცვამენ მონასტრებსა, რომლებისთვისაც ჩვენთა მამა-პაპათა სისხლი დასთხიეს, წინააღუდგებიან სულიერთა მოძღვართა, შეურაცხჰყოფენ და უპატივრობას აყენებენ წმიდა ტაძრებს და ღვთის-მსახურებას, უპატიოთ ხდიან მღვდლებს, ზოგიერთი მოჰკლეს, ზოგს თავს დასხმას და სიკვდილს უქადიან და ეს ყველა უბედურება ხდება იმ ქვეყანაში, რომელიც მრავალი მტრებისაგან შეინახა მართლმადიდებლობამ, სადაც მცხოვრებთა 15 საუკუნის განმავლობაში თავისი სისხლით საყდრები, მონასტრები და ქრისტიანობრივი საღმრთო მსახურება დაიცვეს. ამ ჟამთ მუშა ხალხმა თავი მიანება თავის ოჯახს, არ ფიქრობს, რომ მტრები ღვთისა და მამულისა ატყუებენ, აქა-იქ გროვდება, ირევა და შფოთობს. ურჩევენ ბევრს, რომ ანებონ თავი შრომას და საქმეს, მთავრობას არ ემორჩილება. წინააღმდეგნი შრომისა და მუშაობისა გაიფანტნენ სხვადასხვა სოფლებში, გადარიეს იქაურნი პატიოსანნი და მშვიდნი მიწის მკეთებელნი, ოჯახის პატრონნი და მკვებავნი და დააყენეს ბოროტს გზაზედ.

საყვარელნო, გითვლით თქვენ მოციქულის სიტყვებით: **„ნუ ყოვლისა სულისა** (სწავლა) **გრწამნ, არამედ გამოიცადენით სულნი** (ესე იგი სწავლანი) **უკეთუ ღვთისაგან იყვნენ, რამეთუ მრავალნი ცრუ წინასწარმეტყველნი განსრულ არიან სოფლად“ (1 იოანე, 4, 1).** ამ სწავლაზედ, რომელსაც ამ ჟამად ავრცელებენ ბოროტის მსურველნი და წინააღმდეგია ღვთისა, მეფისა და მთავრობისა, უწინარესვე გვაუწყა ღვთისა სიტყვამ, რომელიც ამბობს: **„რამეთუ იყოს ჟამი, ოდეს სიცოცხლისა ამას მოძღვრებასა არა თავს იდებენ, არამედ გულისთქმათაებრ თავის თვისისა შეიკრებენ მოძღვართა ქავილითა ყურთათა და სასმენელნი თვისნი ჭეშმარიტებისაგან გარეშეიქცინენ“ (2 ტიმოთე, 4, 3). ხოლო უკეთურნი კაცნი და გრძნეულნი წარემატებოდნენ უძვირფასესისა მიმართ, აცთუნებდენ და სცთებოდენ!“ (2 ტიმოთე, 3, 13).** „ოგინი, სიტყვისაებრ მოციქულისა, **უფლებასა შეურაცხ-ჰყოფენ კადნიერნი და თავნებენი, დიდებისათვის არა სძრწიან, არამედ ჰგმობენ“ (2 პეტრე, 2, 10). ამ გვარ მასწავლებელთა ცრუთა და წარმსწყმედელთა შესახებ სიტყვა ღვთისა ამბობს: „არიან მრავალნი დაუმორჩილებელნა და ამაოსა მეტყველ და გონება მაცთურ, რომელნი ყოველსა სახლებსა გარდააქცევენ, ასწავებენ, რომელი იგი არა ჯერ არს, რომელთა ჯერ არს პირისა დაყოფა“ (ტიტეს მიმართ, 1, 10-11).**

გევედრებით თქვენ, საყვარელნო, არიდეთ სასმენელნი თქვენნი ამ ცრუ მასწავლებლებს, აშორეთ ამათ თქვენი შვილნი, ემორჩილენით მთავრობასა, დაინერგეთ ქრისტეს სახარების სწავლა, რომელიც გესმით სამღვდელოებისაგან, შეუდეგით ლოცვასა და სინანულსა მომავალ დიდმარხვის დღეებში, იყავით მშვიდობით და წყნარად, ყველამ აკეთეთ თავისი საქმე, ხოლო ბოროტის მასწავლებელთა შემდგომ რჩევისა და მხილებისა ჯერ ცალკე, მარტო და მერე ერთ-ორ კაცთან, როგორც გვასწავლის წმიდა სახარება, სამსჯავროდ მიეცით მთავრობას. როდესაც თქვენ ძვირისმომქმედებს არ გაუგონებთ, თვით ისინი გაქრებიან, როგორც სიბნელე სინათლის წინ. და იმათ ვეღარ უშველის ვერც ფული და ვერც შემწეობა, რომლებსაც მიიღებენ ისინი ჩვენი სარწმუნოებისა და სახელმწიფოს მტრებისაგან.

ვევედრებით ეკლესიის მწყემსთ, გაახშირონ ქადაგება და ღვთის მსახურება.

ვევედრებით სკოლის მასწავლებელთა, მოარიდონ შეგირდები ბოროტს სწავლასა, რომ არ გაიგონონ.

ვევედრებით ყოველთა უფლების მქონებელთა, მამაცად და სიმტკიცით სდეგნონ ბოროტება ამისათვის, რომ მთავრობანი და უფლების მქონებელნი „არა არიან“, როგორც ამბობს სიტყვა ღვთისა; **„საშინელ კეთილის მოქმედთა, არამედ ბოროტის მოქმედთა, რამეთუ არა ცუდად ხრმალ აბს“ (რომაელთა მიმართ, XIII, 3-4).**

ვევედრებით ვაჭართა, იქონიეთ შიში ღვთისა და ნუ ისარგებლებთ ამ დროით და ნუ დააძვირებთ ყველა საცხოვრებელის საჭიროებათა, რადგანაც დიდი შესაწუხელია სიძვირე ღარიბთათვის და სამწუხაროა და დაბადებს უკმაყოფილებას.

ვევედრებით სახლის პატრონთა, ნუ შეაწუხებთ მოსამსახურეთა და მოუმეცავეთა, არამედ თანახმად ღვთისა სიტყვისა: **„მისცემდეთ მათ სამართალსა და სწორსა, უწყოდეთ, რამეთუ თქვენცა უფალივე გივის ცათა შინა“ (კოლასელთა მიმართ 4, 1).**

ვევედრებით მუშაკთა უფლისა და საუკუნოს ცხოვნებისა სახელითა. იყავით წყნარად, იშრომეთ, ნუ გაუგონებთ ცრუ მასწავლებელთა და გახსოვდეთ მოციქულის სიტყვა: **„რომელსა არა ნებავნ საქმე (შრომა), ნუცა სჭამნ“ (2 თესალონიკელთა მიმართ 3, 10).**

მშვიდობა თქვენდა, მშვიდობა ყოველთა და კურთხევა უფლისა.

ალექსი, არხიეპისკოპოსი ქართლისა და კახეთისა, საქართველოს ექსარხოსი

არსენი, ეპისკოპოსი სოხუმისა

ლეონიდი, ეპისკოპოსი იმერეთისა

დიმიტრი, ეპისკოპოსი გურია-მენგრელიისა

ბენიამინი, ეპისკოპოსი გორისა

ეფთიმე, ეპისკოპოსი ალავერდისა."

(გაგრძელება იქნება)

ვახტანგ გურული

(საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) წიგნი 3; გვ: 453-456

ოზურგეთის თეატრში ნოდარ დუმბაძის სახელობის მესამე საერთაშორისო ფესტივალი გაიხსნა

ნ. დუმბაძის „ცისკარი“ ელ. მაცხონაშვილის საავტორო სპექტაკლი

რ. სტურუას საავტორო სპექტაკლი „ვანო და ნიკო“

ამკოლას რუსული დრამატული თეატრი (ყაზახეთი) ნ. დუმბაძე, „ისწავლეთ ცხოვრება ღიმილით“

ვასო აბაშიძის სახელობის ახალი თეატრი გ. ერისთავის „გაყრა“ რეჟ. დ. დოიაშვილი

როკიშკისის მუნიციპალური თეატრი (ლიეტუვა) „ბავშვი“

5 ივლისს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში, ნოდარ დუმბაძის სახელობის მესამე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი გაიხსნა. მაყურებელმა თეატრის მცირე სცენაზე რეჟისორ ელენე მაცხონაშვილის მიერ დადგმული საავტორო სპექტაკლი „ცისკარი“, ხოლო დიდ სცენაზე რეჟისორ რობერტ სტურუას სპექტაკლი „ვანო და ნიკო“ იხილა.

სპექტაკლი „ცის-კარი“ ნოდარ დუმბაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოგვითხრობს, ტექსტი ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებსა და ჩანაწერებზეა დაფუძნებული. თოჯინური და ცოცხალი პლანის სინთეზი სანახაობრივთან ერთად განსაკუთრებულად ემოციურს ხდის სპექტაკლს.

რობერტ სტურუას საავტორო სპექტაკლი „ვანო და ნიკო“ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი დადგმა არის ფესტივალზე წარმოდგენილ სპექტაკლებს შორის, რომლის შესახებ თავად **რობერტ სტურუა** ამბობს: –„*ალბათ, დღეს დღეისობით ხშირად ვდგამ ქართულ პიესებს. ბოლო წლებში საქართველოში იმდენი რამ მოხდა, რომ მინდა, გავერკვე კონკრეტულად ამ მოვლენებში. ყველაფერი შეიძლება მოხდეს, შეიძლება ერთმანეთში აირიოს სიკეთე და ბოროტება, შეიძლება ძალიან გაგვიჭირდეს იმის გარკვევა, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება, მაგრამ ყოველთვის რჩება მარადიული ფასეულობები, რჩება ჭეშმარიტება, რომელიც არასდროს იცვლება. სიკეთე ყოველთვის იქნება სიკეთე, ბოროტება-ბოროტება. და თუ ზოგჯერ ბოროტება იმარჯვებს, საბოლოოდ მაინც სიკეთე რჩება გამარჯვებული.*“

საინტერესო დადგმა გახლდათ ფესტივალის მეორე დღეს სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრის მიერ განხორციელებული ეგნატე ნინოშვილის „პარტახი“ (სანდრო მრევლიშვილის დადგმა), რომელშიც წარმოდგენილი ოჯახური ურთიერთობები დამყარებულია არა სიყვარულზე, არამედ ცრუ ტრადიციების პატივისცემაზე და ძალადობაზე.

ამ დღეს ყაზახეთის აქტობეს თოჯინების თეატრმა „ალკაი“ და ამკოლას რეგიონულმა რუსულმა დრამატულმა თეატრმა 2 სპექტაკლი წარმოადგინეს. პირველმა მცირე სცენაზე ნოდარ დუმბაძის „ძაღლი,“ (რეჟისორი ანტონ ზაიცევი) და მეორემ ექსპერიმენტულ სცენაზე ასევე დუმბაძის „ისწავლეთ ცხოვრება ღიმილით“(რეჟისორი ოლღა ლუცივა).

მაყურებლების დიდი მოწონებდა დაიმახსოვრა თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის ახალი თეატრის მიერ წარმოდგენილმა მუსიკალურმა სპექტაკლმა, გიორგი ერისთავის „გაყრამ“, რომლის დადგმელი რეჟისორი დავით დოიაშვილია.

ამ დადგმის თემა დღესაც აქტუალურია. როგორც წერენ, ამ პიესის დადგმით თეატრის მიზანი იყო მოეზიდა საზოგადოების ყველა სოციალური ფენისა, თუ ასაკის წარმომადგენელი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, რადგან კიდევ ერთხელ, ორიგინალური ფორმით შეახსენოს მას ქართული ტრადიციების მნიშვნელობა და ღირებულება და შეეცადოს, დაამკვიდროს მშვიდობიანი ურთერთობა და ტოლერანტობა სხვადასხვა ეროვნებათა შორის, ამიტომ მაღალმხატვრულობასთან ერთად უზარმაზარია სპექტაკლის მორალური მნიშვნელობაც.

ამ დღეს ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ექსპერიმენტულ სცენაზე ელენე მაცხონაშვილის საავტორო სპექტაკლი „ნუ გააღვიძებ“ წარმოადგინა, ხოლო აზერბაიჯანის სახელმწიფო აკადემიურმა დრამატულმა თეატრმა გოდერძი ჩოხელის „წერილი ნაძვებს“ (რეჟისორ ნიგარ გულაჰმადოვას დადგმა.)

ფესტივალის მეოთხე დღეს თეატრის მცირე სცენაზე ლვოვის მარია ზანკოვეცკას სახელობის ნაციონალურმა აკადემიურმა თეატრმა საინტერესო დრამა „ცხოვრება პ.ს“ წარმოადგინა. (რეჟისორი ნაზარ პავლიკი).

„ცხოვრება პ.ს“ე ფუძნება აღმოსავლეთ უკრაინის ომის ვეტერანის ვალერია ბულგაკოვას ავტობიოგრაფიულ წიგნს, სადაც აღწერილია ქალის აღთქმით დანახული ომის მეორე მხარე, რომელმაც საყვარელი ადამიანი ფრონტის ხაზზე იპოვა. სიუჟეტი ფარდას ხსნის ქვეყნის თანამედროვე ისტორიის უხერხულ თემებს, როგორიცაა: სამხედრო ცხოვრება, მეომარი ქალების დისკრიმინაცია, ფაქტების დეფორმაცია ა.შ. წიგნი საბოლოოდ არის ფრონტის წინა ხაზის ბლიკნოტი, რომელშიც განსხვავებული რეალობაა ნაჩვენები. ხან სასტიკი, ხან უაზრო, მაგრამ ზოგჯერ არის ის, რაც შთააგონებს იმედს და გრ-ძნობას სიცოცხლისათვის. მაყურებ-ელს შესაძლებლობა აქვს ვალერიას მოგონებების პრიზმაში გაეცნოს ომის შესახებ სიმართლეს. ზოგჯერ მოგონებები სიზმარს ჰგავს, ასე წარმოდგენილი რეალობა სიზმარში ცხოვრებას გვახსენებს, სადაც მთავრმა გმირმა წინასწარ იცის, რა უნდა გაიაროს, მაგრამ ვერ იცილებს თავიდან მოვლენების გარდაუვალობას.

ამ დღეს თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე ლიტვის, როკიშკისის სახალხო თეატრმა მ. ივაშკევიჩუსის ტრაგედია „ბავშვი“წარმოადგინა (რეჟისორი ელიგიუს დაუგნორა).

სპექტაკლი მეორე მსოფლიო ომის ლიეტუველი მასწავლებლის ციმბირში გადასახლების თემას ეხება. სპექტაკლი მაყურებელს აძლევს დასკვნების გაკეთების საშუალებას: „რას აკეთებ, როცა ხე ფესვებს არ იღებს/“

კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი ფესტივალის გახსნაზე

ს. მრევლიშვილის სპექტაკლი „პარტახი“

ზესტაფონის სახელმწიფო თეატრი ნ. დუმბაძე „ნუ გააღვიძებ“ რეჟ. ელ. მაცხონაშვილი

ლვოვის აკადემიური დრამატული თეატრი „ცხოვრება p.s.

აქტობეს თოჯინების თეატრი „ალაკაი,“ (ყაზახეთი) ნ. დუმბაძე „ძაღლი“

7 დღის ამინდის პროგნოზი

წვიმა +18 +23	წვიმა +17 +24	წვიმა +17 +24	ღრუბელი +16 +24	მზე, ღრუბელი +17 +24	წვიმა +16 +24	მზე, ღრუბელი +17 +24
11 ივლისი ორშაბათი	12 ივლისი სამშაბათი	13 ივლისი ოთხშაბათი	14 ივლისი ხუთშაბათი	15 ივლისი პარასკევი	16 ივლისი შაბათი	17 ივლისი კვირა